დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის 23/21 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის 01/24 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 დეკემბრის 16/24 ოქმით

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები

COLLEGE

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება 3

მუხლი 3. სტუდენტური ინიციატივები და მხარდაჭერის ღონისძიებები 4

მუხლი 4. სტუდენტების მხარდამჭერი ინიციატივების ბიუჯეტი 5

მუხლი 5. სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლები 5

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (შემდგომში - დაწესებულება) სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსათან ადაპტირების პროცესის ხელშეწყობასა და სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპების საფუძველზე; ხელი შეუწყოს კოლეჯში მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების განვითარებას, კოლეჯის ცხოვრებაში სტუდენტების ჩართულობის გაზრდას, სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას და მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნებას.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება

1. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება.
2. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადისთვის გეგმავს და უზრუნველყოფს მათთან გაცნობით შეხვედრას.
3. შეხვედრას ხსნის დაწესებულების დირექტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. ასევე, სტუდენტები ეცნობიან პრეზენტაციებს დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ.

მუხლი 3. სტუდენტური ინიციატივები და მხარდაჭერის ღონისძიებები

1. პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

ა) განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლები, პერიოდულად, ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფურ შეხვედრებს, რომლის ფაგლებში პროფესიული სტუდენტები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში მიღებულ გამოცდილებას და მსჯელობენ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განვლილი პერიოდის განმავლობაში მათთვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა.

2. პროფესიულ სტუდენტ(ებ)ის მიერ ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ განაცხადის წარდგენა ხორციელდება წერილობითი ფორმით კოლეჯის დირექტორის სახელზე.

3. განმცხადებელი შესაძლოა კოლეჯის სტუდენტი, სტუდენტთა ჯგუფი, კოლეჯის თანამშრომელი.

4. განაცხადში მითითებული უნდა იყოს:

ა) განმცხადებლ(ებ)ის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, თარიღი, ხელმოწერა

ბ) შესაბამისი ინიციატივის განხორციელების საჭიროების დასაბუთება

გ) რა მიზანი მიიღწევა აღნიშნული ინიციატივის განხორციელებით

დ) რამდენად მიიღწევა მიზანი აღნიშნული ინიციატივის განხორციელებით

ე) რა სახის ფინანსური/მატერიალური/ადამიანური/სხვა სახის რესურსი იქნება მოთხოვნილი

ვ) რა პერიოდში უნდა განხორციელდეს აღნიშნული ინიციატივა

5. დირექტორი წარდგენილ განცხადებას განიხილავს მიღებიდან 1 კვირის ვადაში. მოთხოვნილი რესურსების გათვალისწინებით, დირექტორი უზრუნველყოფს შესაბამისი უფლებამოსილების პირების ჩართულობას განცხადების განხილვის პროცესში.

6. განცხადების განხილვის შედეგად, მიიღება დასაბუთებული გადაწყვეტილება წარმოდგენილი ინიციატივის მხარდაჭერის ან მხარდაჭერაზე უარის თქმის შესახებ.

7. კოლეჯი აქტიურდ თანმშრომლობს საქართველოს უნივერსიტეტთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტ(ებ)ის

ინიციატივების მხარდაჭერა შესაძლოა განხორციელდეს უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ.

მუხლი 4. სტუდენტების მხარდამჭერი ინიციატივების ბიუჯეტი

1. სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერისათვის ბიუჯეტი განისაზღვრება ყოველწლიურად დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
2. მომდევნო წლის ბიუჯეტის ოდენობის უცვლელად დატოვების შემთხვევაში ავტომატურად მოქმედებს წინა წლის ბიუჯეტის პერიპეტიები.

მუხლი 5. სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლები

1. სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ განმცხადებლ(ებ)ი უზრუნველყოფენ:
ა) ინიციატივების ნაყოფიერი განხორციელების ხელშეწყობას
ბ) სტუდენთა მაქსიმალურ ჩართულობის ხელშეწყობას ინიციატივების განხორციელებაში
გ) ინიციატივების განხორციელების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების კოორდინირება
დ) განხორციელებული ინიციატივების შესახებ წერილობითი ფორმით ანგარიშის წარდგენა დირექტორისათვის.
2. სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ დირექტორი ან მის მიერ დელეგირებული პირი უზრუნველყოფს:
ა) ინიციატივების განხორციელების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების პერიოდულ მონიტორინგს
ბ) ინიციატივების განხორციელების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და დაინტერესების შემთხვევაში საჯარო შეხვედრის გამართვას.
3. სტუდენტური ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიების დაფინანსების შემთხვევაში, დადგენილი აქტივობების განუხორციელებლობისას, დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევისას, გამოყოფილი რესურსების არამიზნობივი ხარჯვისას, შესაბამისი მიზნის მიღწევის შეუძლებლობისას, განმცხადებლებს ეკისრებათ ვალდებულება დააბრუნონ მიღებული დაფინანსება.
4. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შედეგის დადგომისას, კოლეჯი იტოვებს უფლებას, განუსაზღვროს დამატებითი ვადა განმცხადებლებს, თუ მიიჩნევს, რომ დამატებითი ვადის განმავლობაში დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების დამტკიცება, ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიურ საბჭოზე.